საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბრძანება N 421

ქ. თბილისი

21/12/2021

განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის - ხევი-არგვეთას გზის F4 მონაკვეთის მშენებლობის პროექტით გათვალისწინებული მე-6 გვირაბის პროექტის ცვლილების შედეგად გზის განთვისების ზოლში მოქცეული, N2 და N3 სარეგისტრაციო ბლოკებში შემავალი მიწის ნაკვეთების ფაქტობრივი მდებარეობის დადგენის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრაქტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა (შემდგომში - დეპარტამენტი) და შპს ,,ტერაგრაფიკს“ შორის 2021 წლის 25 ოქტომბერს გაფორმებული № ს და ს 85-21 ხელშეკრულების საფუძველზე, დეპარტამენტში 2021 წლის 01 დეკემბერის წერილით (დეპარტამენტში რეგისტრაციის თარიღი: 01.12.2021წ. №37907/2) წარმოდგენილი, შპს ,,ტერაგრაფიკის“ მიერ 2021 წლის 30 ნოემბერს შედგენილი ხევი-არგვეთას გზის F4 მონაკვეთის პროექტით გათვალისწინებული გზის განთვისების ზოლში მოქცეული მიწის ნაკვეთების ფაქტობრივი მდებარეობის ამსახველი N2 და N3 სარეგისტრაციო ბლოკების გეგმებისა და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ“ პუნქტის, „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №487 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის მე-45 მუხლის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №43/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დაწყებულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოება განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის - ხევი-არგვეთას გზის F4 მონაკვეთის მშენებლობის პროექტით გათვალისწინებული მე-6 გვირაბის პროექტის ცვლილების შედეგად გზის განთვისების ზოლში მოქცეული, N2 და N3 სარეგისტრაციო ბლოკებში შემავალი, საჯარო რეესტრში მცდარი საკადასტრო

მონაცემებით რეგისტრირებული N32.03.43.096, N32.03.43.122, 32.10.33.691, 32.10.33.861, 32.10.33.737 და 32.10.33.960 მიწის ნაკვეთების ფაქტობრივი მდებარეობის დადგენის მიზნით;

2. ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება დაევალოს დეპარტამენტის გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურს;

3. ამ ბრძანებისა და ზემოთ აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელებული საკადასტრო აღწერის შედეგების, გზის განთვისების ზოლში მოქცეული მიწის ნაკვეთების ფაქტობრივი მდებარეობის ამსახველი გეგმების საჯარო გაცნობისათვის დეპარტამენტის ოფიციალური ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს დეპარტამენტის ადმინისტრაციულ სამსახურს;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გიორგი წერეთელი

დეპარტამენტის თავმჯდომარე